საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-11/45

04 აპრილი, 2018 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულებით მომსახურების საფასურის, მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 11 დეკემბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 25 დეკემბრის №01-08/58 ბრძანების, ,,ბსუ–ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილების, ბსუ-ს 2018 წლის ბიუჯეტის, უწყვეტის განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორის ქეთევან ბერიძის 2018 წლის 2 აპრილის მოხსენებითი ბარათის (№373061)საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულებით მოკლევადიანი პროგრამების წარმართვისა და ბენეფიციარებისათვის მომსახურების გაწევის მიზნით განისაზღვროს საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალის (სპეციალისტები/მასწავლებელთა პერსონალი) და მიმართულების კოორდინატორის სამუშაო დატვირთვის მოცულობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა შემდეგნაირად:
   1.1. ჯანმრთელობის ფსიქოლოგიისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებისა და რეაბილიტაციის შემსწავლელ პროგრამების სხვადასხვა სასწავლო კურსზე/მოდულზე:
   ა) **მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა 45 (ორმოცდახუთი)** ასტრონომიული საათი თითოეულ სასწავლო მოდულზე, ხოლო ჯგუფში მუშაობის ერთი ასტრონომიული საათის ანაზღაურება - **20 (ოცი) ლარის** ოდენობით, **10-15 მსმენელით**(გამონაკლის შემთხვევაში არაუმეტეს 16 მსმენელით) დაკომპლექტებულ ჯგუფში;
   ბ) **ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის სამუშაო დატვირთვა - მსმენელთა თითოეულ ჯგუფზე 10 (ათი)** ასტრონომიული საათი (მსმენელებთან და მოსაწვევ პერსონალთან წინა სახელშეკრულებო ურთიერთობა, მსმენელთა თითოეული ჯგუფის სასწავლო პროცესის მენეჯმენტი, ტექნიკური უზრუნველყოფა, აკადემიური კოორდინირება და ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება), ხოლო

მომსახურების ერთი ასტრონომიული საათის ანაზღაურება -**20 (ოცი) ლარი, შრომის ანაზღაურება - ერთი ასტრონომიული საათი - 12 ლარი.**

1.2. ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულებით ბენეფიციარებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის მიზნით **მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა და შრომის ანაზღაურება:**

ა) ფსიქოთერაპია (ტრავმის დროს, დანაკარგის დროს, პოსტრავმატული აშლილობების დროს, შიშის დაძლევა, ბრაზის მართვა, პანიკურ-შფოთვითი აშლილობა და სხვა) – არანაკლებ **6 და არაუმეტეს 16** ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური - **ერთი საათი 30 ლარი**, საიდანაც გასაცემი შრომის ანაზღაურება - **ერთი საათი 18 ლარი;**

ბ) ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვის ფსიქოკონსულტირება, ინტერვიუ მის მშობელთან/მეურვესთან, შეფასება და რეკომენდაციის მიცემა - **1 (ერთი)** ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური - ერთი საათი 40 ლარი, ხოლო გასაცემი შრომის ანაზღაურება - ერთი საათი 24 ლარი;

გ) ინტელექტის კვლევა WISC-R -ის ტესტით -**2 (საათი)** ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური - 1 (ერთი) საათის მომსახურების საფასური - ერთი 25 ლარი, ხოლო გასაცემი შრომის ანაზღაურება 15 ლარი - ერთ საათში;

დ) ბავშვის განვითარების შეფასება **Vineland**-II-ის მიხედვით - **2 (ორი)**ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური - ერთი საათი 25 ლარი, ხოლო გასაცემი შრომის ანაზღაურება 15 ლარი - ერთ საათში;

ე) ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენა -**1 (ერთი)** ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური - 25 ლარი, გასაცემი შრომის ანაზღაურება - 15 ლარი ერთ საათში;

ვ) ფსიქოლოგიური დახმარება: (ABA) ქცევითი თერაპია, ადრეული ინტერვენცია, სუპერვიზია - თვეში არაუმეტეს **8-20** ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური - 20 ლარი, ხოლო გასაცემი შრომის ანაზღაურება - ერთი საათი 12 ლარი;

ზ) ფსიქოკონსულტირება - ტრავმის დროს, დანაკარგის დროს, პოსტრავმატული აშლილობების დროს, შიშის დაძლევა, ბრაზის მართვა, პანიკურ-შფოთვითი აშლილობა და სხვა- **1 (ერთი)** ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური - 30 ლარი, გასაცემი შრომის ანაზღაურება - 18 ლარი;

თ) ჯგუფური თერაპია, 5 შეხვედრა, მათ შორის თითოეული შეხვედრის ხანგრძლივობა 2 საათი, **სულ 10** ასტრონომიული საათის სამუშაო დატვირთვა, მომსახურების საფასური- 30 ლარი, გასაცემი შრომის ანაზღაურება - 18 ლარი;

1.3. ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულებით ბენეფიციარებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის მიზნით ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის სამუშაო დატვირთვა და შრომის ანაზღაურება განისაზღვროს კოორდინატორის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ბენეფიციარების რაოდენობისა და გასაწევი მომსახურების გათვალისწინებით.

2. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ **გ.გვარიშვილი**